პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 აპრილი, კვირა, 1988 წ.
№ 65 (9732) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე, რომელიც გაიმართა 2 აპრილს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, შეიკრიბნენ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ განახორციელონ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონში ჩამოყალიბებული პრინციპები, უზრუნველყონ ფართო მასშტაბის ღონისძიებანი, რათა რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობა მოამზადონ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანისათვის.

სესიამ გუშინვე მუშაობა დაამთავრა.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდება ჯანმრთელობის დღესასწაული, მასობრივ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებებში, მხნეობისა და დღეგრძელობის საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში ჩაებმება ათიათასობით სხვადასხვა ასაკის ადამიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ თბილისში, ს. კიროვის სახელობის პარკის სპორტდარბაზში დაიწყო საქართველოს დიდ ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. ასპარეზობაში გამოდიან აგრეთვე რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის გუნდები.

პირველ დღეს ასპარეზობის მონაწილენი უსაგნო ვარჯიშსა და ხახტუნელათი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

კვლავ „გუდაურის გაზაფხული“

პირველად ეს შეჯიბრება საქართველოს ახალ სამთო-სათხილამურო ცენტრში 1984 წლის აპრილში ჩატარდა. მაშინ იგი საკავშირო ასპარეზობა გახლდათ. მომდევნო სეზონიდან კი „გუდაურის გაზაფხული“ საერთაშორისო ტურნირად იქცა. გასულ წელს, დიდთოვლიანობის გამო, გუდაურის თეთრმა ფერდობებმა ვერ უმასპინძლეს სამთომოთხილამურეებს. და აი აქ კვლავ შეიკრიბნენ დიდი შეჯიბრების მონაწილენი — ავსტრიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, სსრ კავშირის, საქართველოს და შეიარაღებული ძალების (ცალკე გუნდებად გამოდიან) მოთხილამურენი — 85 ვაჟი და 59 ქალი.

ამინდმა ამჯერადაც იჭირვეულა, ასპარეზობა ორი დღით გადაიდო. თუმცა ქარი არ ჩამდგარა, ორგანიზატორებმა მაინც გადაწყვიტეს დაეწყოთ შეჯიბრება.

პირველნი სპეციალური სლალომის ტრასაზე ვაჟები გამოვიდნენ. ორი ცდის ჯამში საუკეთესო იყო კამჩატკის პეტროპავლოვსკელი ს. პეტრიკი — 1 წუთი და 34,83 წამი. II ადგილზე გავიდა ავსტრიელი ჰ. შისტლი — 1.36,22, III-ზე — ჩეხოსლოვაკიელი მ. კოლაჩი — 1.37,63.

ჩვენი რესპუბლიკიდან ლ. აბრამიშვილი — 23-ე იყო, ლ. ანთაძე — 26-ე. გ. ორჯონიკიძემ, რ. ჯიჩოევმა, ზ. ბასარიამ, ს. ანთაძემ, დ. ოგანეზოვმა, ტრასა ვერ დაამთავრეს.

ქალთა შორის გაიმარჯვა კ. შაფრანსკამ — 1.33,83. II იყო მ. ბახლეტა-ჟელიგა (ორივე — პოლონეთი) — 1.34,30, მესამე — ო. ლოგინოვა (სსრკ) — 1.35,68.

ქართველ მოთხილამურე ქალთაგან ტრასა მხოლოდ თბილისელმა ე. ედიშერაშვილმა დაამთავრა — 1.59,00 (34-ე ადგილი), მისი თანაგუნდელი თ. მიქელაძე კი ამ ასპარეზობას გამოეთიშა.

ახლა სამთომოთხილამურეებს სწრაფდაშვების ტრასა ელით, შემდეგ „გუდაურის გაზაფხულის“ მონაწილენი ერთმანეთს შეეჯიბრებიან გიგანტურ სლალომსა და სუპერგიგანტში, რომლებშიც პარალელურად ქვეყნის ჩემპიონატიც ჩატარდება.

ალექსანდრე ჭანდელაკი,
„ლელოს“ კორ. ტელეფონით.
გუდაური.

გუშინ...

გუდაურში საზეიმოდ გაიხსნა რესპუბლიკის უდიდესი სამთო-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომლის აგებაში საბჭოთა მშენებლებთან ერთად მონაწილეობდნენ ავსტრიის აგშ ფირმისა და პოლონეთის „ბუდიმექსის“ ფირმის სპეციალისტები. ცერემონიაში მონაწილეობდა ავსტრიის საქმიანი წრეების, ტურისტული ორგანიზაციების ორასზე მეტი წარმომადგენელი.

კომპლექსის საზეიმო გახსნას ესწრებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ა. ჩხეიძე, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიაში გ. ვ. შიშკინი, სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. გავრილინი.

პრაქტიკული საქმით — პრობლემების გადაჭრისაკენ!

როგორც ადრე უკვე ვიუწყებოდით, საქართველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების პირველმა ყრილობამ ამ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ვაჟა შუბლაძე. გაზეთში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ახალ ხელმძღვანელს.

— პროფკავშირთა სპორტული საზოგადოება, — ამბობს ვ. შუბლაძე, გასული წლის მაისში შეიქმნა, — ერთ ორგანიზაციად გაერთიანდნენ მანამდე არსებული ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები „კოლმეურნე“, „სპარტაკი“, „განთიადი“, „ბურევესტნიკი“, „ლოკომოტივი“, „ზენიტი“, „ვოდნიკი“. შესაბამისი რეორგანიზაცია მოხდა რესპუბლიკის ადმინისტრაციულ რეგიონებში, ქალაქებში და რაიონებში.

● ახალი სპორტსაზოგადოების მომსახურების სფეროში კვლავ რჩება ის დარგები, რომლებსაც ადრე სპორტსაზოგადოებები ემსახურებოდნენ, თუ რაიმე ცვლილებები მოხდა?

— ჩვენი საზოგადოება დღეისათვის წარმოდგენილია რაიონული, საქალაქო და საოლქო საბჭოების, რესპუბლიკის ყველა ადმინისტრაციული რგოლით და ემსახურება სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის მუშაკებს, დავასახელებ ზოგიერთს — ესაა მძიმე და მსუბუქი მრეწველობა, ტრანსპორტი, მშენებლობა, კავშირგაბმულობა, აგროსამრეწველო კომპლექსი, მომსახურების სფერო, განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობა და ა. შ. მოკლედ საქართველოს სოფელსა და ქალაქს მთლიანად. ალბათ უფრო ადვილი იქნებოდა გამოგვეყო ის კონტიგენტი, რომელსაც ჩვენ არ ვემსახურებით — ესაა პროფტექნიკური სასწავლებლები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები. თუმცა, აქაც ყველა პედაგოგი და მოსწავლე-სპორტსმენთა დიდი ნაწილი ჩვენი საზოგადოების წევრია. ერთი სიტყვით, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების გარეშე რჩება მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოები („დინამო“).

● ბარემ აქვე ვთქვათ თქვენი საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ამოცანების შესახებ.

— ჩვენი საქმიანობის არეალი რაკი ესოდენ ფართოა, ცხადია, რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში საზოგადოებამ ერთ-ერთი წამყვანი როლი უნდა შეასრულოს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვა, ჩვენი ამოცანაა მშრომელთა და სტუდენტი ახალგაზრდობის ჯანმრთელობის განმტკიცებაზე ზრუნვა. ჭეშმარიტი მასობრიობის მიღწევით ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს უნდა ვაზიაროთ ყველა ადამიანი.

ჩვენ პროფკავშირული საზოგადოება ვართ და უპირველეს საზრუნავად მიგვაჩნია დავიცვათ მშრომელთა ინტერესები. არც ერთ ხელმძღვანელს, კოლექტივის თავკაცი იქნება თუ მინისტრი, არ აქვს უფლება „ეკონომია“ გასწიოს დარგის მუშაკთა ჯანმრთელობის ხარჯზე, აქ დაზოგილი ერთი მანეთი ათასობით მანეთის დანაკარგად უჯდება სახელმწიფოს. თავად განსაჯეთ — ასეთი „ეკონომიის“ წყალ-

იხ. გვ. 2 გვ.

ახალი სისტემით

ედინბურგი. როგორც ვიუწყებოდით, წყალში მხტომელთა ევროპის თასის გუნდური გათამაშება დამაჯერებლად მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა. დაიწყო პირადი ტურნირი. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ტარდება.

ტრამპლინიდან მხტომელ ვაჟთა შეჯიბრებაში ერთმანეთს შეხვდნენ ნიკოლოზ დროჟინი და ავსტრიელი ნიკი სტაიკოვიჩი. საინტერესო ორთაბრძოლა საბჭოთა სპორტსმენის გამარჯვებით დამთავრდა. მეორე ნახევარფინალში ჰოლგერ ვინსკოვსკიმ აჯობა სერგეი ლომანოვსკის. ფინალური შეხვედრა მოიგო დროჟინმა, რომელმაც ევროპის თასი დაისაკუთრა. მესამე ადგილზე სტაიკოვიჩი გავიდა.

ქალთა ნახევარფინალებში ბრიტა ბალდუსმა (გდრ) ირინა ლაშკო დაამარცხა, ლიუბოვ ბოროდულინამ კი ანკე მოლბაუერი (გფრ). ფინალში უძლიერესი ბალდუსი იყო. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი ლაშკომ იმარჯვა.

ამის შემდეგ კოშკიდან მხტომელთა შეჯიბრება დაიწყო.

საქართველოს ნაკრებმა უძლიერესი იყო

ჩვენი მოფარიკავე გოგონების წარმატების ამბავი საკმაოდ იშვიათად გვესმის და ამიტომ მათი ყოველი გამარჯვება განსაკუთრებულად შეიძლება ჩაითვალოს. სხვაგვარად ვერც შეაფასებ იმ მოულოდნელ წარმატებას, რომელსაც ჩვენმა რაპირისტებმა მიაღწიეს ვილნიუსში ჩატარებულ საერთაშორისო ახალგაზრდულ ტურნირზე. იქ მოასპარეზე 16 გუნდს შორის საუკეთესო იყო საქართველოს ნაკრები: ლია გიორგაძე, მაია მათითაიშვილი, თეონა გალუაშვილი და ირმა ღოღობერიძე. ჩვენს გუნდს, რომელიც ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებისთვის ემზადება, ახალგაზრდა მწვრთნელი რამაზ გიორგაძე ავარჯიშებს და როგორც ხედავთ, ურიგოდ არ უძღვება ამ საქმეს.

ვილნიუსში ჩვენი სპორტსმენების წარმატება ამით არ ამოწურულა: პირად პირველობაში შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ლია გიორგაძემ (მწვრთნელი ლუდვიგ ღაღანიძე), რომელიც ტურნირის ორგზის ლაურეატი გახდა. ამავე შეჯიბრებაზე მე-5 ადგილზე გავიდნენ ჩვენი დაშნით მოფარიკაველები.

ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲗ— ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ!

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ობით ქვეყანას ყოველწლიურად აკლდება 7 მილიარდი მანეთი.

● მიგაჩნიათ თუ არა, რომ ძველი შეხედულებები ფიზკულტურასა და სპორტზე კვლავ გამჯდარია ზოგიერთ ხელმძღვანელში. ვფიქრობთ, ამის ერთ მაგალითად თქვენს მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტიც გამოდგება. რა უნდა გაკეთდეს, რომ კოლექტივებში ამაღლდეს ფიზკულტურისა და სპორტის ავტორიტეტი?

— აქ წინა პლანზე გამოდის ფიზკულტურის მეთოდისტის ფიგურა. პირველ ყოვლისა მისი ავტორიტეტი უნდა ამაღლდეს, მაგრამ როგორ? ფიზკულტურის მეთოდისტი უნდა იყოს წარმოების მთავარი სპეციალისტი გამაჯანსაღებელი მუშაობის დარგში და მისი ხელფასი უნდა იყოს არა მხოლოდ 90 მან. არამედ იმდენივე, რამდენსაც იღებს დარგის მთავარი სპეციალისტი, პრემიებისა და დამატებების გათვალისწინებით. მაშინ აღარც არასპეციალისტებს აიყვანენ ფიზკულტურის მეთოდისტის შტატში, როგორც ეს დღემდე ხდება. რესპუბლიკაში შრომით კოლექტივებში მეთოდისტების შტატის რაოდენობა 1600-მდეა, დამეთანხმებით ეს დიდი ძალაა, მაგრამ ძალაა მაშინ თუ უნარიანად გამოვიყენებთ. ვიმეორებ, პირველ ყოვლისა მეთოდისტმა უნდა ამაღლოს ფიზკულტურისა და სპორტის ავტორიტეტი კოლექტივში, აქტიურობით, საქმის ცოდნით, გაწეული შრომით დაუმტკიცონ ხელმძღვანელებს, რომ ისინი კოლექტივისთვის საჭირო და აუცილებელი მუშაკები არიან. დასამალი არაა, ჯერ კიდევ ცუდად ვიყენებთ ფიზკულტურისა და სპორტის შესაძლებლობებს წარმოების პოტენციალის სრულყოფისა და მშრომელთა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების საქმეში.

● თქვენი საზოგადოების პირველი ყრილობის შემდეგ თითქმის ერთი თვე გავიდა. ალბათ გარკვეული წარმოდგენა უკვე გაქვთ პრობლემებზე, რომელიც ახლო მომავალში უნდა გადაიჭრას.

— მოგეხსენებათ, რეორგანიზაციას ახლავს სირთულეები, და... დასანანი „შეცდომები“ ადამიანთა მომხმარებლური ფსიქოლოგიით რომ არის გამოწვეული. სპორტსაზოგადოებათა გაერთიანებამდე, რაკი ეს აქცია უნდა განხორციელებულიყო, ყველა როდი აღმოჩნდა ბოლომდე საქმის ერთგული და უნარიანი მეურნე, გაერთიანებისას კი უყურადღებობამ დიდძალი სახსრები დააკლო ახალ საზოგადოებას. სხვათა შორის, სწორედ რეორგანიზაციის მოლოდინში დაშვებული უპასუხისმგებლობის გამო საზოგადოებაში შემცირდა ძირითადი მაჩვენებლები. ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინეთა რაოდენობას, მაგალითად, მხოლოდ გასული ერთი წლის განმავლობაში 87 ათასი მოაკლდა, საზოგადოების წევრთა რიცხვს 107 ათასი, მშდ ნიშნოსნებს 19 ათასი, სპორტულ სექციებში მომეცადინეთა რიცხვს 52 ათასი.

● მაგრამ ის ხალხი, ვისაც პასუხი მოეთხოვება დაშვებულ შეცდომებზე, დღესაც ხომ მუშაობენ ახალშექმნილ საზოგადოებაში...

— სპორტსაზოგადოების პირველი ყრილობის შემდეგ ბევრ მუშაკს დავემშვიდობეთ, ბევრიც სერიოზული ნაკლოვანებებისთვის დაისაჯა, ჩვენს გვერდით ვერც მომავალში მოვითმენთ გულგრილ და ე. წ. მომხმარებლური ფსიქოლოგიის მუშაკებს. გვიხსენით, კადრები წყვეტენ ყველაფერს — ესაა ჩვენთვის მთავარი.

● რაკი სიტუაცია კადრებზე ჩამოვარდა, გვინდა გკითხოთ, როგორაა საქმე ადგილებზე, ხმები მოდის, რომ ზოგან გასარკვევია საკითხები ფიზკულტურის კომიტეტებსა და პროფკავშირული საზოგადოების საბჭოების ურთიერთობაში.

— კატეგორიულად ვაცხადებ, ჩვენი ორგანიზაციები ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში ადგილებზე პასუხს აგებენ ყველაფერზე, ქიშპობა და პირველობის დაჩემება მხოლოდ საქმეს ვნებს და განვიხილავთ, როგორც პასუხისმგებლობიდან თავის დაძვრენის ცდას. ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში თუ ვინ არის საერთო ხელმძღვანელი და წამმართველი ეს ცნობილია და ამ საკითხში ჩვენი და სპორტსახკომის აზრი ერთი და იგივეა.

● ისევ კადრებზე გვინდა გკითხოთ, თუ შეიძლება მოკლედ გაგვაცანით სტატისტიკა.

— პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭო აერთიანებს მმართველობით აპარატს და სპორტულ კლუბს 133 შტატიანი მუშაკით და 57 შტატიანი მწვრთნელით. საზოგადოების საუწყებო ორგანიზაციებში მუშაობს 3539 შტატის და საათობრივი ანაზღაურების 70 მუშაკი, მათ შორის 767 მწვრთნელ-მასწავლებელი. სპორტულ სექციებსა და ჯგუფებში საქმიანობას ეწევა 55956 საზოგადოებრივი მწვრთნელი და ინსტრუქტორი. 74 პროფკავშირულ სპორტულ სკოლაში 529 შტატიანი მწვრთნელის ხელმძღვანელობით სპორტულ ოსტატობას იმაღლებს 30 ათასი მოსწავლე.

● და აი, სპორტსაც მივადექით, თუ შეიძლება გვითხარით თქვენი ამოცანების შესახებ და იმ წვლილზე, რომელიც საზოგადოებას შეაქვს ჩვენი სპორტის წინსვლა-განვითარებაში.

— რეალურად საქართველოს სპორტის ნახევარზე მეტი პროფკავშირებზე მოდის. ავიღოთ წლევანდელი ჭაბუკთა თამაშები, აქ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში 52 პროცენტი ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელია. გასულ წელს სპორტსკოლების რაოდენობა გაიზარდა 20 პროცენტით და მიაღწია 74-ს. მწვრთნელთა რაზმს შეემატა 120 კაცი, მომეცადინეთა რაოდენობა 8000 კაცით გაიზარდა. რაღა თქმა უნდა, ყოველივე ეს მიღწეულია საქართველოს პროფსაბჭოს ხელმძღვანელობის სერიოზული დაინტერესებით და ზრუნვით. მაგრამ როგორი უკუგებით მუშაობენ უშუალოდ სპორტული მუშაკები? დასანანია, რომ რაოდენობრივ ზრდას ჯერ არ მოჰყოლია ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება. პირიქით, მაჩვენებლები მკვეთრად გაუარესდა: ჭაბუკ თანრიგოსანთა მომზადება შემცირდა 28 პროცენტით, პირველთანრიგოსანთა რაოდენობა 39 პროცენტით, სპორტის ოსტატობის კანდიდატებისა 54 პროცენტით, სპორტის ოსტატებისა 32 პროცენტით. აღარაფერს ვამბობთ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებზე, რომელიც საზოგადოებაში შარშან არც ერთი არ მომზადებულა.

ახლა 27 პროცენტით ნაკლები სპორტული სრულყოფის ჯგუფებია, ვიდრე ადრე იყო. განახევრდა სპორტული დოსტატების ჯგუფებიც. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგია, რომ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების 9 კანდიდატი დაჰკარგა პროფკავშირების სპორტსაზოგადოებამ.

საზოგადოებაში არის 14 შტატიანი გუნდი — რეგბიში ქუთაისის „მშენებელი“, თბილისის „ლოკომოტივი“ და „შევარდენი“, ხელბურთში და კალათბურთში (ქალები) თბილისის „ბურევესტნიკის“ კოლექტივები, ფრენბურთში თბილისის „მშენებელი“. საქართველოს პირველობაში მონაწილე 101 ფეხბურთელთა გუნდიდან კი 91 პროფკავშირულია. ჩვენი რესპუბლიკის 10 გუნდიდან, რომლებიც სსრ კავშირის I და II ლიგაში გამოდიან, საზოგადოებისაა. ამ გუნდებს შორის არიან ლანჩხუთის „გურია“ და ქუთაისის „ტორპედო“.

● გამოდის, რომ კადრები საკმაოა, სკოლებიც არ გვაკლია, გუნდებიც მრავლადაა, უკუგება კი, როგორც თავად ბრძანებთ, არასახარბიელოა, იქნებ სპორტული ბაზები არ გვიწყობს ხელს...

— ჩვენს განკარგულებაშია 50 სტადიონი ტრიბუნებით. 175 სპორტული დარბაზი, 35 საცურაო აუზი (10 დახურული), 47 სასროლი ტირი, 2 მანეჟი და სათხილამურო ბაზა, 3826 მოედანი თუ ფეხბურთის მინდორი. ბაზების საბალანსო ღირებულება 23 მილიონზე მეტი მანეთია. აქ 1207 თანამშრომელია. ყოველდღიურად ჩვენს სპორტულ ობიექტებზე 202788 ფიზკულტურელს და სპორტსმენს შეიძლება მოვემსახუროთ. როგორც ხედავთ, საქმე ცუდად არ გვაქვს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ბაზები შართლაც არ გვიწყობს ხელს, მიზეზებზე ქვემოთ გეტყვით და არც საკმაოა — ჩვენ ხომ 700 ათასამდე მომეცადინე გვყავს. სპორტული ნაგებობების მთლიანი გამტარუნარიანობა კი, როგორც ვთქვით, 202 ათასზე ოდნავ მეტია. მიუმატეთ იმ 700 ათასს კიდევ საზოგადოების მილიონ ექვსასი ათასი წევრი და ნახავთ, რომ საკითხი სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს. აუცილებლად მიგვაჩნია შრომითმა და სასწავლო დაწესებულებებმა თავიანთი ბაზებიც დაუთმონ მოსახლეობას. ამით პრობლემა ნაწილობრივ მაინც გადაწყდება. ახლა კი ისიც ვთქვათ, რომ არსებულ ბაზებზე ბევრგან არაა მეცადინეობის ნორმალური პირობები — გასახდელები და საშხაპეებიც არ გაჩნიათ. თავად განსაჯეთ, საზოგადოების სპორტულ ბაზებზე საშხაპეებით ერთდროულად მხოლოდ 1217-მა კაცმა შეიძლება ისარგებლოს.

● რა დასამალია და, ხწორედ ესაა მთავარი მიზეზი, რომ მოსახლეობა ნაკლებად ეტანება ჩვენს ბაზებს, დღეს სერვისს, მით უმეტეს, როცა ფასიან მომსახურებას ყველგან ვნერგავთ, ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

— მართალს ბრძანებთ. ის კი არა, დღეს მთელ რესპუბლიკაში სპორტულ ობიექტებზე, საერთო საცხოვრებლებში, მასივებში, სკოლებში, კულტურისა და დასვენების პარკებში მუშაობს მხოლოდ სპორტული ინვენტარის გამქირავებელი... 3 პუნქტი. საქართველოში ამჟამად 9 სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივია შექმნილი, აქედან პროფკავშირული კი არც ერთი არ არის.

● თქვენ ყურადღება ძირითადად ნაკლოვანებაზე გაამახვილეთ და სწორიცაა. ფაქტების შელამაზებისა და ფორმალიზმის დრო წავიდა. თუმცა, პირველ ნაბიჯებზე, რომელიც უკვე გადაიდგა, ჩვენი მკითხველებიც ინფორმირებულნი არიან. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ სტუდენტთა გიგანტური თამაშები, რომელიც 8 აპრილს იწყება. კიდევ რა პრაქტიკული ღონისძიებებს გატარება გამიზნული ახლო მომავალში?

— სერიოზულად ვმუშაობთ მოსახლეობის ფართო ფენების მიზიდვაზე ფიზკულტურასა და სპორტში. ამ მიმართებით ვცდილობთ მაქსიმალურად განვთავისუფლდეთ ფორმალიზმისაგან, მოვნახოთ ის ბერკეტები, რომლებიც ფიზკულტურასა და სპორტს დაუკავშირებს ყოველდღიურ ცხოვრებას და უარს იტყვის თავზე მოხვეულ, ეპიზოდურ, მოჩვენებით ღონისძიებებზე. მუშაობაში წინა პლანზე წამოიწევა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდა, ვგეგმავთ სხვადასხვა ღონისძიებებს ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ინტერესების გათვალისწინებით. ძირეულ გარდაქმნა-გააქტიურებას მოითხოვს მუშაობა სპორტულ კლუბებში, ფიზკულტურულ კოლექტივებში. კადრებს გადავანაწილებთ იმის მიხედვით თითოეულს სად, რომელ უბანზე მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია. სერიოზული კორექტივები შეგვაქვს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში, რათა ამაღლდეს უკუგება და სახსრები უფრო მნიშვნელოვან საქმეს მოხმარდეს. ახლა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა კავშირის გამტკიცება დარგობრივი პროფკავშირების კომიტეტებთან, სამინისტროებთან, უწყებებთან, კომკავშირულ ორგანიზაციებთან — ფიზკულტურა და სპორტი ხომ ადამიანის კეთილდღეობას ემსახურება — ეს საქმე საერთო საზრუნავია. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ჩვენგან მოითხოვს მივაღწიოთ ფიზკულტურისა და სპორტის ჭეშმარიტ მასობრიობას. ძალღონეს არ დავზოგავთ, რათა ეს ამოცანა აუცილებლად შეავასრულოთ.

ესაუბრა თენგიზ თოფაშვილი.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲓᲐᲒᲐᲜ

ᲛᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲗᲘᲡᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ...

8-9 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲒᲐᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲜᲐᲣᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ. ᲘᲒᲘ ᲨᲔᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲬᲘᲡᲓᲔᲑᲐᲡ, ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲡᲐᲭᲘᲠᲑᲝᲠᲝᲢᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ, ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲙᲣᲠᲡᲘ.



დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია ყრილობის დელეგატი, ხაშურის მექანიკური ქარხნის ფიზკულტურის მეთოდისტი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში **ᲛᲔᲚᲔᲣᲓ ᲛᲔᲯᲘᲓᲚᲘᲫᲔ.**

● თქვენ რომ ყრილობაზე სიტყვა მოგცენ, რას იტყოდით?

— ალბათ, ვიტყოდი, რომ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა უფრო მასობრივი და პოპულარული უნდა გახდეს. ამას კი ჩვენ მაშინ მივაღწევთ თუ უფრო ღრმად ჩავწვდებით მოსახლეობის ინტერესებს და მუშაობას წარვმართავთ ამ ინტერესების გათვალისწინებით. გაუმჯობესება მოითხოვა მატერიალურმა ბაზამ, რაც მთავარია, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით უნდა ამაღლდეს ფიზკულტურის მეთოდისტის როლი.

● თქვენს კოლექტივში როგორ ხორციელდება ეს მოთხოვნები?

— გვაქვს ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის ღია მოედნები; ვიყენებთ რეზერვს — სპორტული დარბაზი სარდაფში მოვაწყეთ. შევიძინეთ ჩოგბურთის მაგიდები, ღერძი, ორძელი, შტანგა, საჭიდაო ლეიბები, კეთილმოწყობილია გასახდელი და საშხაპეები, შენობის მეორე სართულის ფოიეში დადგმულია ჭადრაკისა და შაშის მაგიდები.

● მაგრამ ბაზებს გამოყენებაც უნდა...

— სექციური მუშაობა ჩვენთან საზოგადოებრივ საწყისებზეა. ვარჯიშობენ როგორც ახალგაზრდა მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლები, ისე მათი შვილები და ქარხნის ახლოს მცხოვრები მოზარდები. მაგალითად, ქართული ჭიდაობის სექციას ხელმძღვანელობს ვაშლის საჭრელი მანქანების ზეინკალი, პირველთანრიგოსანი ავთანდილ გრიგალაშვილი, ფეხბურთისას — ხაშურის „ივერიის“ ყოფილი მოთამაშე ჯუმბერ ლომიძე, ჭადრაკის, შაშის, ფრენბურთის, კალათბურთისა და თავისუფალი ჭიდაობის სექციებს მე ვუძღვები.

● თქვენს კოლექტივში მასობრივი ღონისძიებების ჩატარებაზე რას იტყვით?

— ქარხნის პირველობებს ვატარებთ ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში, შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში. ამავე სახეობებში გამოვდივართ რაიონულ პირველობებზეც. რესპუბლიკური მასშტაბით სპორტულ პაექრობებს ვმართავთ ჩვენი პროფილის ქარხნებთან და ვმონაწილეობთ საზოგადოების რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. გამოვედით საკავშირო შეჯიბრებებში თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენი პროფილის ქარხნებს შორის: მინსკში გამართულ ტურნირზე პირველი ადგილი დავიკავეთ, სმოლენსკში კი — მეორე.

● ის, ვინც აქტიურ სპორტს არ ეწევა, თუ არის ჩაბმული საწარმოო ტანვარჯიშში?

— რა თქმა უნდა, ჩვენც დიდ ყურადღებას ვუთმობთ საწარმოო ტანვარჯიშს. იგი იწყება შესვენებამდე თხუთმეტი წუთით ადრე. გვაქვს ადგილობრივი რადიოკვანძი და მუსიკის თანხლებით ვარჯიშს ცალკეულ ოთახებში ვატარებთ. გარდა ამისა, გვაქვს გამაჯანსაღებელი ჯგუფიც.

● როგორც ჩანს, ქარხნის ადმინისტრაცია მხარში დგიგათ...

— დირექცია მართლაც ყოველმხრივ მხარს გვიჭერს. ადმინისტრაციის ინიციატივით გარემონტდა სპორტული დარბაზი, გაკეთდა ვენტილაციაც, დაგეგმილია ფეხბურთის სტადიონის კეთილმოწყობა. მომავალში ალბათ, სტანდარტულ სპორტდარბაზსაც ავაშენებთ, რაც დიდად დაგვეხმარება შემდგომ მუშაობაში.

საუბარი ჩაიწერა
ᲖᲘᲛᲝᲠᲑᲘ ᲜᲝᲜᲮᲐᲫᲔᲛ.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝ

წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატს კრივში ნოვოსიბირსკი უმასპინძლებს. ეს ქალაქი სეულის ოლიმპიადის გამო შეარჩიეს, სადაც ჩვენი მომავალი ოლიმპიელები გარკვეულ აკლიმატიზაციას გაივლიან. ულიანოვსკის რინგმა კი, ტრადიციულად, მიიღო ჭაბუკი მოკრივეები (1970-71 წლებში დაბადებულნი), რომელნიც ჩვენი ქვეყნის უძლიერესის სახელს ეცილებოდნენ ერთმანეთს. ასპარეზობის მაღალ დონეზე მეტყველებს ის, რომ 231 მოკრივეს შორის იყო 3 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 49 სპორტის ოსტატი და 179 კანდიდატი. ასეთ ძლიერი შემადგენლობა ალბათ ჭაბუკთა რინგს არ ახსოვს. იქ საქართველოს 14 წარმომადგენელი იბრძოდა, რომელთაგან მარტო მჩატე წონის კახაბერ ჩიქვინიძემ შეძლო საპრიზო ადგილის მოპოვება. „შრომითი რეზერვების“ აღსაზრდელმა ჯერ აშკარა უპირატესობით დაამარცხა რსფსრ-ის გუნდის წევრი ი. შიპაკინი, შემდეგ უბზეკ მეტოქეს ო. ხანს აჯობა, ხოლო ნახევარფინალური შეხვედრა დათმო ყაზახ მ. აიტჟანოვთან ბრძოლაში.

თბილისის 161-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელი მოსწავლე სსრ კავშირის ნაკრებში ჩარიცხეს და ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ახალგაზრდა მოკრივეებთან ერთად ემზადება საერთაშორისო ტურნირ „მეგობრობისა“ და ევროპის პირველობისათვის. ივლისში კი მოზარდთა II საკავშირო თამაშებში საქართველოს ღირსებას დაიცავს.

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ

„ᲢᲠᲣᲓᲘ“ — 2 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. „ეს ისეთი სვლა არ არის“. წერილი რედაქციას, რომელსაც ხელს აწერენ გ. კასპაროვი, მ. ჩიბურდანიძე, ვ. სმისლოვი, მ. ტალი და სხვა გამოჩენილი მოჭადრაკეები.

„ᲡᲝᲕᲔᲢᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ“ — 27 ᲛᲐᲠᲢᲘ. გაზეთის რუბრიკას „გამოჩენილი ჩემპიონების მიერ სპორტზე დაწერილი მოთხრობა“ აგრძელებს ცნობილი კალათბურთელი ოთარ ქორქია.

27 ᲛᲐᲠᲢᲘ. „სიყვარულით ფრთაშესხმული“. გაზეთის სტუმარია კალგარის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი ტომას გუსტაფსონი.

31 ᲛᲐᲠᲢᲘ. „ნიმუში. ხელს ნუ მოკიდებთ!“ ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით კვლავ მწვავედ დგას სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის პრობლემა.

1 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. რუბრიკას „გულახდილად მტკივნეულზე“ უძღვება სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი ა. გომელსკი.

2 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. „სასტიკი ზნე-ჩვეულებანი“. გაზეთი აგრძელებს საუბარს საფეხბურთო მოედნებზე არასპორტული საქციელის ფაქტების თაობაზე.

კურსი — გაახალგაზრდავება, ადგილობრივი კადრები

ეს იყო ჩვეულებრივი, წინასწარი შეხვედრა, სპორტული სეზონის წინ ტრადიციულად რომ ეწყობა რესპუბლიკის სპორტსახკომში და მას მრგვალი მაგიდის სახე უნებლიეთ მიეცა. აქ იყვნენ ფეხბურთში პირველი და მეორე ლიგების საკავშირო გათამაშების მონაწილე რესპუბლიკის გუნდების მთავარი მწვრთნელები, საქართველოს სპორტსახკომისა და ფეხბურთის სამმართველოს წარმომადგენლები.

შეხვედრას წითელ.ზოლად გასდევდა ერთიანი განწყობილება იმისა, რომ ეს პოპულარული გათამაშებები არაფრით ჩამოუვარდება სხვა მასობრივ ასპარეზობებს და მაყურებელთა უდიდეს ინტერესს იწვევს. ამდენად, მას ის ფუნქციაც აკისრია, რომ ხელი შეუწყოს რესპუბლიკაში ფეხბურთის შემდგომ განვითარებას, რაც გუნდებში ადგილობრივ ახალგაზრდა მოთამაშეთა მიზიდვით შეიძლება განხორციელდეს. სწორედ აქ აღზრდილმა ფეხბურთელებმა უნდა ააღორძინონ ქართული ფეხბურთის სახელოვანი ტრადიციები. ითქვა ისიც, რომ პირველი და მეორე ლიგების პირველობები ახალგაზრდასა და მწვრთნელს სერიოზულ გამოცდას უწყობს, რაც თითეულისაგან დიდ შრომისუნარიანობასა და სრულ მობილიზებას მოითხოვს 5-6-თვიანი ტურნირის მანძილზე. ეს კი წარმოუდგენელია ფეხბურთის დიდი სიყვარულის, ადალი თვითშეგნებისა და საერთოდ, პატრიოტიზმის გარეშე.

რა თქმა უნდა, მარტო ამ თვისებებით თავს ვერ გავართმევთ იმ დიდ მოთხოვნებს, რასაც ამ ლიგების გუნდებს გულშემატკივრები უყენებენ, თუ კოლექტივებს არ ექნებათ ხელსაყრელი პირობები, წვრთნისა და მზადების მწყობრი სისტემა და თანამედროვე მატერიალური ბაზა, თავისი სამედიცინო და სარეაბილიტაციო სამსახურით.

რესპუბლიკის სპორტსახკომის პოზიცია: ვფიქრობთ, ისეთ მწვრთნელებს, როგორებიც არიან ანატოლი ნორაკიძე, გივი ნოდია, მურთაზ ხურცილავა, დავით ყიფიანი, ნებისმიერი გუნდი ინატრებდა. ისინი ჩვენი რესპუბლიკის მეორე ლიგის გუნდებთან მუშაობენ და, თუ გააზრებულად წარვმართავთ ჩვენს საქმიანობას, დამაკმაყოფილებელმა შედეგმაც არ უნდა დააყოვნოს.

ანატოლი ნორაკიძე (სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სოხუმის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი): — სასურველია, მეორე ლიგის ფეხბურთელებს ვაცალოთ თავიანთ კოლექტივებში ფეხის მოკიდება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საკმარისია ჩვენს შორის გამოჩნდეს პერსპექტიული ჭაბუკი, იგი, აქაოდა, უფრო მაღალი რანგის გუნდში წვრთნისა და ოსტატობის ამაღლების მეტი საშუალებაა, მაშინვე გადაჰყავთ. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა მთლად გამართლებული არ უნდა იყოს. შეიძლება უფრო მაღალი რანგის გუნდში ფეხბურთელებს სავარჯიშოდ უკეთესი პირობები აქვთ, მაგრამ ხურც ის დაგვიგიწყდება, რომ ვერავითარი კომფორტი ვერ დააოსტატებს ისე ფეხბურთელს, როგორც სათამაშო პრაქტიკა. აი, ამ მხრივ ახალგაზრდობას აქვს ჩვენთან უკეთესი პირობები ოსტატობის სრულყოფისათვის. უფრო მაღალი ლიგის გუნდში კი, ამ მხრივ ისინი დიდად განებივრებულნი არ არიან და შეიძლება ითქვას, ხშირად სათადარიგო მერხზე ამთავრებენ თავიანთ კარიერას. ზოგჯერ ამ სპორტსმენებს ისევ უკან გვიბრუნებენ, რაც პირდაპირ დამღუპველად მოქმედებს ახალგაზრდობაზე, რადგან წინსვლის იმედი და ყოველგვარი სტიმული ეკარგებათ.

გივი ნოდია (საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, რუსთავის „მეტალურგის“ უფროსი მწვრთნელი): — მეორე ლიგის გუნდებს მეტი ყურადღება სჭირდებათ. ამ მხრივ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ პრესას, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს. ამ ლიგის წევრებმაც უნდა იგრძნონ პასუხისმგებლობა. ამიტომ ისინი ნიადაგ ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ.

რევაზ ძოძუაშვილი (ქუთაისის „ტორპედოს“ უფროსი მწვრთნელი): — როგორც იცით, ქუთაისის ავტოქარხნელთა გუნდს წელს საკმაოდ რთული, მაგრამ საპატიო ამოცანა აკისრია, რასაც პირველ ლიგაში დაბრუნება ჰქვია. ამ მისიის განსახორციელებლად საჭიროა, რომ გუნდი თანაბარი სიძლიერის მოთამაშეებით წარდგეს საასპარეზოდ. პირველ ყოვლისა, მოვითხოვთ თავდამსხმელ უგრელიძისა და ნახევარმცველ მქედლიშვილის დაბრუნებას. პირველი თბილისის „შევარდენი“-სპი-ში ირიცხება, მეორე კი — სამტრედიის „ლოკომოტივში“.

რესპუბლიკის სპორტსახკომის პოზიცია: — ეტყობა, ჯერ კიდევ მტკიცედ ვერ ვიბრძვით ფეხბურთელთა გადაბირების წინააღმდეგ, ეს კი ჩვენი მუშაობის თავი და თავი უნდა იყოს, ამიტომ მჭედლიშვილს, რომლის შესახებაც უკვე მეორე წელია ლაპარაკობენ, რომ იგი არ ემორჩილება ფეხბურთის სამმართველოს გადაწყვეტილებას, ვფიქრობთ, საერთოდ უნდა აეკრძალოს თამაში, უგრელიძეც, რომელიც რატომღაც ფოთის „კოლხეთში“ აღმოჩნდა, უნდა დაუბრუნდეს „გურიას“.

როგორც ითქვა, ჩვენ შესანიშნავი მწვრთნელები გვყავს. ესენი არიან ისეთი სპეციალისტები, რომელთაც კარგი პროდუქცია უნდა მოგვცენ დიდი ფეხბურთისათვის. ამის იმედს უფრო ის გვაძლევს, რომ მათ კურსი აღებული აქვთ ადგილობრივი ძალებით გუნდების გაახალგაზრდავებისკენ.

მწვრთნელთა ერთმა ჯგუფმა, კერძოდ, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **ჯუმბერ ჯალაღანიამ** (სამტრედიის „ლოკომოტივი“), **გურამ ბაგუნიამ** (გორის „დილა“), **ჯერი კუბუხიძემ** (ფოთის „კოლხეთი“) გამოთქვეს აზრი, რომ კარგი იქნებოდა, წელს მეორე ლიგაში რესპუბლიკის კოლექტივებს შორის ბოლო ადგილზე გასული გუნდის მაგიერ გაისად საქართველოს ჩემპიონს კი არა, კვლავ აუტსაიდერს ეასპარეზა. ამას იმით ხსნიდნენ, რომ მათი გუნდები ჯერ კიდევ საგრძნობლად მოიკოჭლებენ და ლიგაში ფეხის მოკიდება გაუჭირდებათ.

ეს მოსაზრება უმრავლესობამ უარყო.

მურთაზ ხურცილავა (თბილისის „შევარდენი“ სპი-ს უფროსი მწვრთნელი): — ასეთი ლიბერალობა ლიგის აუტსაიდერის მიმართ, პირველ ყოვლისა, ტურნირის სპორტულ მხარეზე იმოქმედებს უარყოფითად, რაც მნიშვნელოვანწილად დააქვეითებს ჩვენი გუნდების ზრდადაოსტატებას, რომლის უცილობელ კომპონენტადაც ძლერი, სამართლიანი სატურნირო კონკურენცია მიმაჩნია. ეს იქნება გამოუსწორებელი, მცდარი ნაბიჯი, რომელიც ძვირად დაგვიჯდება და მისგან მიყენებული ზარალი დიდხანს გაჰყვება საქართველოს ფეხბურთს.

ირაკლი გაგუა (მახარაძის „მერცხალის“ მწვრთნელი): — ლიბერალობა, რომელსაც ჩემი კოლეგები გვთავაზობენ, პირველ ყოვლისა, მახარაძის „მერცხალს“ უნდა აძლევდეს ხელს. საქმე ის არის, რომ „მერცხალი“ ლიგის ახალბედაა და მას ... [illegible] ... ვითარი ... [illegible] ... მიუხედავად ... [illegible] ... მურთაზ ხურცილავას და ვფიქრობ, რომ მხოლოდ უკომპრომისო, მართლიანი ბრძოლის შედეგად შეიძლება სპორტულ დაოსტატებაზე ფიქრი.

სხვა თუ არაფერი, ეს „სიახლე“ ხელს შეუწყობს მაყურებლის განთესვას, რადგან მისთვის ეს კომპრომისი წინასწარ ცხადი იქნება.

მიხეილ ფომენკო („გურიის“ უფროსი მწვრთნელი): — „გურიის“ ამოცანა — დაბრუნდეს უმაღლეს ლიგაში, რა სირთულეებთანაც არის დაკავშირებული, ყველას კარგად მოეხსენება. ამ მიზნის მისაღწევად გუნდს სათანადო პირობები უნდა ჰქონდეს. ჩვენ კი ჯერაც მოუწესრიგებელი გვაქვს სამედიცინო მომსახურება, სარეაბილიტაციო ცენტრი და ა. შ. ვფიქრობ, ეს საკითხები დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს.

მ. ხურცილავა: — შეჯიბრება კარს მოგვადგა, ჩვენს სათამაშო მინდორზე კი კვლავ ბულდოზერი და მშენებლები ტრიალებენ. სავარჯიშო მინდორი საერთოდ არა გვაქვს, იქნებ ამაზეც ეფიქრა ჩვენს ხელმძღვანელობას.

რესპუბლიკის სპორტსახკომის პოზიცია: — სეზონი სასიკეთოდ უნდა წარიმართოს საქართველოს გუნდებისათვის, რადგან მწვრთნელებს ამთავითვე სწორი პოზიცია უკავიათ. ეს არის გუნდების გაახალგაზრდავება, რაც ადგილობრივი რეზერვებით ხდება. ახლავე ვგრძნობთ იმასაც, რომ კონკურენცია, ოღონდ წმინდა სპორტული ხასიათისა, მწვრთნელთა შორისაც გაჩაღდება. ეს კი წინსვლის საწინდარია.

ჩაიწერა **უშანგ ჟიჟინაძემ.**

ფეხბურთის ფედერაციის თასზე

დაიწყო სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშება უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის. პირველ მატჩში კიევის დინამოელებმა მიიღეს მინსკის თანაკლუბელები, გამარჯვება მინსკელებმა მოიპოვეს — 2:0, ორივე ბურთი ზიგმანტოვიჩმა გაიტანა. გუშინ შედგა მოსკოვის გუნდების „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივის“ შეხვედრა, დღეს გაიმართება I ტურის სხვა მატჩები, თბილისის დინამოელები მიიღებენ ალმა-ათის „ქაირათს“.

„დინამო“ სტუმრად გულშემატკივრებთან

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს გულშემატკივართა კლუბმა ს. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სასახლეში ამ დღეებში შეხვედრა მოუწყო თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივს. მრავალრიცხოვან შეკითხვებზე პასუხი გასცეს დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა გ. ზონინმა და გუნდის უფროსმა ვ. გუცაევმა. გ. ზონინმა ილაპარაკა სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატზე, აღნიშნა, რომ ჩვენს ცალკეულ ფეხბურთელებს ჯერ კიდევ აქვთ ტრამვები, გუნდში დააბრუნეს მეკარე მ. აბუსერიძე, ქუთაისის „ტორპედოდან“ აპირებენ მცველ ე. თეგზაძის გადმოყვანას. მწვრთნელმა დამსწრეთ წარუდგინა ფეხბურთელები გ. ჯიშკარიანი, კ. ცხადაძე, გ. ტყებუჩავა, ა. ცვეიბა, ს. თარბა, თ. ქეცბაია, ჯ. გუბაზი.

„კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზი გადაეცა გულშემატკივართა შორის მინიფეხბურთში საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულ თბილისის „ვერის“ გუნდის კაპიტანს ზ. გომართელს.

გამოითქვა რწმენა, რომ თბილისის „დინამოს“ კოლექტივთან შეხვედრები ტრადიციად იქცევა.

მზია მეგაღიშვილი,
გულშემატკივართა კლუბის წევრლეგების სექციის ხელმძღვანელი.

ჯგუფებში გამარჯვებული 2-2 გუნდი ბრძოლას განაგრძობს შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე, მეოთხედფინალში. აქაც და ნახევარფინალშიც შეჯიბრება ჩატარდება გამოთიშვითი წესით. ფინალური მატჩი შედგება ნოემბერში.

იუგოსლავიის ქალაქ სპლიტში ერთმანეთს შეხვდნენ ამ ქვეყნისა და იტალიის ეროვნული ნაკრები გუნდები. დაწინაურდნენ სტუმრები (ბურთი გაიტანა ვიალიმ), ხოლო საპასუხო გოლი გაიტანა იაკოვლევიჩმა — 1:1.

„ბარსელონამ“ გამარჯვება მოიპოვა ესპანეთის სამეფო თასის გათამაშებაში. ბარსელონელმა ფეხბურთელებმა ფინალში ანგარიშით 1:0 დაამარცხეს „რეალ-სოსიედადი“.

მატჩს 60 ათასი მაყურებელი დაესწრო, მათ შორის ესპანეთის შეფე ხუან კარლოსიც. გამარჯვებულმა უფლება მოიპოვა გამოვიდეს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის შემდგომ გათამაშებაში.

სპორტული აპრილი

3-4. ქართული ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი. მეორე ზონა. ბაკაძი.

3-4. კლასიკური ჭიდაობა. 1970-71 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საქართველოს პირველობა. თბილისი.

3-5. მხატვრული ტანვარჯიში. საქართველოს ღია ჩემპიონატი. მრავალჭიდი. თბილისი.

3. მძლეოსნობა. საქართველოს პირველობა. ამანათრბენი საგზატაციო რბენაში. თბილისი.

4-10. ბალახის ჰოკეი. საბჭოთა კავშირის თასი (ვაჟები). წინასწარი შეჯიბრება. ქუთაისი.

5-9. ბადმინტონი. 1972-77 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა საქართველოს პირველობა. თბილისი.

5-11. მაგიდის ჩოგბურთი. 1978 წელს დაბადებულ მოზარდთა საქართველოს პირველობა. ბათუმი.

6-10. კალათბურთი. საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. ქუთაისი.

6-10. ძიუდო. საქართველოს თასის გათამაშება (ვაჟები). ქუთაისი.

7-26. ჭადრაკი. 1969-73 წლებში დაბადებულ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის საკავშირო ზონალური ტურნირი. ბორჯომი.

11-16. ბალახის ჰოკეი. 1970-71 წლებში დაბადებულ მოზარდთა საქართველოს პირველობა. ქუთაისი.

11-16. ტრეკზე ველოსრბოლა. 1970-72 წლებში დაბადებულ მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება (გიტი და სპრინტი). თბილისი.

12-17. ჩოგბურთი. 1974-75 წლებში დაბადებულ მოზარდთა საქართველოს პირველობა („ბ“ კლასი). თბილისი.

13-17. ცხენოსნობა. საქართველოს აბსოლუტური პირველობა. თბილისი.

13-19. რეგბი. საკავშირო ტურნირი საქართველოს სპორტსახკომის პრიზზე. ქუთაისი.

14-17. ნიჩბოსნობა (ბაიდარა, კანოე). 1970-71 წლებში დაბადებულ მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება. ბაკო.

15-17. მშდ მრავალჭიდი. 1969-70 წელს დაბადებულ წვევამდელთა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. ზონალური შეჯიბრებები: I და II ზონა — ბორჯომი, III ზონა — ხაშური, IV ზონა — გარდაბანი.

15-17. ბატუტზე ხტომა. გ. დობროვოლსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო შეჯიბრება. თბილისი.

17-20. ჩოგბურთი. საქართველოს პირველობა. მესამე ტური. I ლიგა — სოხუმი, II ლიგა — ბორჯომი, III ლიგა — საჩხერე.

20-24. ბადმინტონი. საკავშირო ტურნირი საქართველოს სპორტსახკომის პრიზზე. თბილისი.

20-24. ძიუდო. საქართველოს პირველობა 1974-75 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. დუშეთი.

20-26. საგზატაციო ველოსრბოლა. საერთაშორისო მრავალდღიანი ველოსრბოლა. თბილისი.

22-24. მშდ მრავალჭიდი. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე წვევამდელთა შორის. ზონალური შეჯიბრებები: V ზონა — ზუგდიდი, VI ზონა — ჭიათურა, VII ზონა — ტყიბული.

22-24. სახანძრო-გამოყენებითი სპორტი. საქართველოს XIV ღია ჩემპიონატი სპორტის ოსტატ ბონდო შანიძის პრიზზე. თბილისი.

22-25. ქართული ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი. მცხეთა.

23-24. მძლეოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი და პირველობა კროსში უფროსი ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ბათუმი.

23-27. ტყვიის სროლა. საკავშირო შეჯიბრება. სოხუმი.

24-30. ჭადრაკი. რესპუბლიკური მატჩ-ტურნირი სხვევენინგენის სისტემით. თბილისი.

25.IV — 2.V. რეგბი. საქართველოს პირველობა 1970-71 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ბათუმი.

26-29. აკრობატიკა. საქართველოს ჩემპიონატი. ბათუმი.

26-30. წყალბურთი. X საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე. თბილისი.

26.IV — 1.V. ჩოგბურთი. აპრილის ასსრ ღია ტურნირი. ბათუმი.

„სპორტპროგნოზი“, მე-15 ტირაჟის პროგრამა (9-10 აპრილი)

		ბროგნოზი		
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
1. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი)	9.IV	50	40	10
2. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	9.IV	10	60	30
3. „დინამო“ (კიევი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი)	9.IV	70	20	10
4. „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „ტორპედო“ (მოსკოვი)	9.IV	30	30	40
5. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	9.IV	70	20	10
6. „უალგირისი“ (ვილნიუსი) — „დინამო“ (მინსკი)	10.IV	70	20	10
7. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი)	10.IV	40	40	20
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)				
8. „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	10.IV	60	20	20
9. „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „დინამო“ (სტავროპოლი)	10.IV	40	40	20
10. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „სკა“ (როსტოვი)	10.IV	50	20	30
11. „უუბანი“ (კრასნოდარი) — „ალ „კარპატი“ (ლვოვი)	10.IV	20	40	40
12. „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „შინიკი“ (იაროსლავლი)	10.IV	50	30	20
სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)				
13. „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი) — „დინამო“ (რიგა)	10.IV	30	30	40

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡᲢᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ

გივი მოსიაშვილი მოწაფეობის წლებში გაიტაცა საჭადრაკო კომპოზიციამ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დროს კი მის მიერ შედგენილი ამოცანები უკვე საკავშირო პრესაში ისტამბებოდა. მაშინ მოიპოვა მან პირველი საკონკურსო წარმატებებიც. ბევრი სხვა დამწყები კომპოზიტორისაგან განსხვავებით, ახალგაზრდა ავტორის შემოქმედებით ძიებას საკმაოდ კარგი თეორიული ცოდნა ედო საფუძვლად. კომპოზიციის ჭეშმარიტმა სიყვარულმა და მუყაითმა შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო — მისი სახით ჩვენს რესპუბლიკას თვითმყოფადი სტილის და საოსტატო პოტენციის მქონე პრობლემისტი შეემატა.

ქიმიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული რუსთავში იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. მაგრამ გატაცება არ გამქრალა. 80-იანი წლები მის საჭადრაკო ბიოგრაფიაში ახალი ეტაპია. მისი თაოსნობით მეტალურგიულმა ქალაქმა პირველი საკავშირო კონკურსი მოაწყო კომპოზიციების შედგენაში. დიდი დატვირთულობის მიუხედავად (იგი ქ. რუსთავის № 10 საშუალო სკოლის დირექტორია) გ. მოსიაშვილი წარმატებით ავრძელებს შემოქმედებით საქმიანობას, ხოლო ამჟამად იგი საქართველოს ნაკრები გუნდის სხვა წევრებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა კავშირის XIII გუნდურ პირველობაში.

ახლახანს მოსკოვში გამოვიდა ა. ტიშკოვის და ვ. ჩეპიჟნის კრებული „საჭადრაკო ამოცანა-მინიატიურები“, რომელიც ამ ტიპის ამოცანების პირველ საბჭოთა ანთოლოგიას (მასში შესულია 892 ნაწარმოები) წარმოადგენს. სხვა ქართველი ავტორების მინიატიურებთან ერთად წიგნში წარმოდგენილია რუსთაველი პრობლემისტის ამოცანებიც. აი, ერთ-ერთი მათგანი:

გ. ᲛᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, 1972



შამათი 4 სვლაში

1. Ჯf4! (ᲪᲣᲒᲪᲕᲐᲜᲒᲘ) მფd8 2. Ჯd6 f4 3. ეb6 მფc8 4. ეb8× (ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲨᲐᲛᲐᲗᲘ), 1. ...მფf8 2. ეc8+ მფg7 3. Ჯg5 მფg6 (მფg7) 4. ეg8× (ორი სხვადასხვა საშამათო სურათი), 2. ...მფe7 3. Ჯe5 და მიიღება ანალოგიური ექო — ᲮᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲨᲐᲛᲐᲗᲘᲔᲑᲘ. დახვეწილი და პიკანტური ქმნილებაა!

ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

დიდოსტატი საველი ტარტაკოვერი (1887-1956), რომელსაც შარშან დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა, გამოჩენილი ფიგურა იყო ჭადრაკის ისტორიაში. ძალიან კლასის მოჭადრაკე (ჯერ რუსეთის, მერე 1939 წლამდე — პოლონეთის, ხოლო შემდეგ კი საფრანგეთის სახელით გამოდიოდა შეჯიბრებებში), გამოჩენილი თეორეტიკოსი, ლიტერატორი და ბრწყინვალე ჟურნალისტი, ამასთან გონებამახვილობითა და იუმორის ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება — ასე იცნობს მას საჭადრაკო სამყარო.

— მითხარით, გეთაყვა, — მიმართა ერთხელ მას კითხვით დიდოსტატმა ვ. რაგოზინმა, — რატომ არის, რომ თქვენთან საფრანგეთში უფრო ცოტაა მოჭადრაკე, ვინც თქვენი წიგნებით ისწავლა, ვიდრე ჩვენთან, საბჭოთა კავშირში?

— საბჭოთა კავშირში, — თქვა ტარტაკოვერმა, — 200 მილიონი მცხოვრებიდან 100 მილიონს ესმის ჭადრაკი. საფრანგეთში კი 40 მილიონიდან მხოლოდ 5000-ს თავი ისე მოაქვს, ვითომ ჭადრაკს თამაშობს.

გავიხსენოთ ს. ტარტაკოვერის რამდენიმე აფორიზმი:

მხოლოდ ძლიერმა იცის, თუ როგორ სუსტად თამაშობს იგი.

შესწორე, რათა მსხვერპლი არ გახდე.

მუქარა მის შესრულებაზე უფრო სახიფათოა.

ჩვეულებრივ, პარტიას სამი ფაზა აქვს: დებიუტი, რომელშიც თქვენ ვარაუდობთ მიიღოთ უკეთესი პოზიცია; მიტელშპილი, რომელშიც თქვენ მიგაჩნიათ, რომ უკეთესი პოზიცია მიიღეთ; და ენდშპილი, რომელშიც თქვენ ხედავთ, რომ აგებთ.

„წყნარი“ სვლა ხშირად მიწისძვრასავით მოქმედებს.

ჭადრაკი — ეს არის ბრძოლა, მაგრამ უმთავრესად საკუთარი შეცდომების წინააღმდეგ.

იუმორის გრძნობით ბევრი პრობლემისტიც არის დაჯილდოებული. მოჭადრაკეებისაგან განსხვავებით, მათ იგი ხშირად საჭადრაკო დაფაზეც გადააქვთ ხოლმე.

Ვ. ᲞᲐᲣᲚᲘ, 1912



შამათი ორ სვლაში

ყურადღება! დაფაზე შავი მეფე აკლია, მაგრამ ეს შეცდომა არ გეგონოთ. ავტორი თვით ამომხსნელებს სთავაზობს მისთვის ადგილის მოძებნას, ამასთან, ოთხ ვარიანტში. შეეცადეთ მიაგნოთ შავი მეფის ოთხ სხვადასხვა ადგილსამყოფელს და ყველა შემთხვევაში დააშამათოთ იგი ორ სვლაში.

ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲕᲐᲭᲐ ᲜᲔᲘᲫᲔ

შემდეგი ერთსვლიანი ამოცანა კი საპირველაპრილო ხუმრობად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

Ვ. ᲚᲐᲜᲒᲚᲔᲢᲐᲤᲘ, 1922



შამათი 1 სვლაში

იმედია, ამ ამოცანაში გრძელი ვარიანტების გათვლა არ დაგჭირდებათ და მიაგნებთ ავტორის ჩანაფიქრს.

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ

„ლელოს“ 20 მარტის ნომერში დაბეჭდილი ვ. ნანცის ორსვლიანი ამოცანა თვითშამათზე შემდეგნაირად იხსნება: 1. ეb1! 1. ...abლ 2. ლd1+, 1. ...abᲯ 2. ლd3+, 1. ...abმ 2. ლc3+. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: თინათინ მახათაძე (ზესტაფონი), კ. ვაჩაძე (ტყიბული), მზია შავდათუაშვილი (გორი), ვ. მანასაშვილი (თელავის რ.), ე. საბეკია (კორცხი, ჩხოროწყუს რ.), ბელა კოკოლაშვილი, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲙᲚᲣᲠᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ორივე — ქვ. ბოდბისხევი, სიღნაღის რ.), ა. მელქაძე, გ. ყიფიანი, მ. სუპატაშვილი (ყველა — ქუთაისი), ნ. და რ. კახიძეები, თ. ცეცხლაძე, თ. დიასამიძე (ყველა — ბათუმი), მ. ყოჩიაშვილი, ვ. შავგულიძე, დ. მამულაშვილი, დ. ბუნტური, რ. ჩაგელიშვილი, მ. კობახიძე, შორენა პაპაშვილი (ყველა — თბილისი).

ᲩᲔᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ — ᲛᲔᲢᲘᲜᲘᲡᲕᲔᲚᲘ



ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲨᲜᲐᲙᲠᲔᲑᲛᲐ ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲐ — 3:0 (15:7, 15:9, 15:11).

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲜᲘᲡᲢᲐᲚᲘ (ᲒᲓᲠ). ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲑᲘᲐᲢᲚᲝᲜᲨᲘ. 20 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜᲘ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐ ᲛᲝᲘᲒᲝ Ი. ᲕᲘᲠᲢᲛᲐ — 1:05.41.

ᲒᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ. ᲙᲘᲔᲕᲘᲡ „Ს�პᲐᲠᲢᲐᲙᲘᲡᲢᲘ“ ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲛᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲩᲔᲛᲪᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲐᲓᲒᲝᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲣᲡᲘ“ ᲓᲐᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ — 27:25 (14:7).

ᲙᲐᲠᲚᲡᲑᲘᲣ (ᲨᲕᲔᲪᲘᲐ). ᲑᲘᲐᲢᲚᲝᲜᲘᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲯᲐᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲔᲚᲛᲐ Ი. ᲛᲐᲢᲝᲣᲨᲛᲐ. 10 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲖᲔ ᲛᲐᲡ 27.58 ᲐᲩᲕᲔᲜᲐ.

ᲐᲗᲔᲜᲘ. ᲡᲐᲑᲭᲠᲗᲔᲜᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲕᲔᲚᲝᲡᲘ�პᲔᲓᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲓᲠᲝᲛᲘᲐᲜᲘ ᲠᲑᲝᲚᲐᲨᲘ ᲔᲛᲔᲡᲘ ᲔᲢᲐ�პᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲒᲘᲜᲢᲐᲣᲢᲐᲡ ᲣᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲝᲠᲒᲕᲐᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ. 21:21.42. ᲘᲒᲝ 19 ᲬᲐᲛᲘᲡ ᲣᲒᲔᲑᲘᲗ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲡ ᲖᲐᲜᲘᲚᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ 1 ᲬᲣᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ 26 ᲬᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲜ ᲠᲘᲓᲘᲢᲐᲜᲘᲡ (ᲒᲓᲠ). ᲒᲣᲜᲓᲣᲠ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲨᲘᲪ ᲬᲘᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲐ. ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲖᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲓᲠ-ᲘᲡ ᲕᲔᲚᲝᲡᲘ�პᲔᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘ.

ᲒᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ. ᲐᲥ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ „ᲢᲣᲜᲒᲣᲡᲚᲐᲛᲘ“. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲡᲢᲐᲠᲢᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲛᲝᲣᲒᲝ 13:3, ᲮᲝᲚᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲠᲗᲚᲔᲑᲛᲐ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘᲡ (12:12) ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲝᲠᲗᲐᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲒᲤᲠ-ᲡᲗᲐᲜ. ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲐᲯᲝᲑᲐ 12:6.

ᲐᲚᲫᲘᲠᲘ. ᲐᲮᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲪᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲠᲘᲜᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲛᲐ ᲙᲚᲣᲑᲛᲐ „ᲛᲣᲚᲔᲣᲓᲘᲐᲜᲘ“ ᲛᲝᲘᲒᲝ. ᲥᲐᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲢᲣᲜᲘᲡᲘᲡ „ᲐᲤᲠᲘᲙᲐ“.

ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. **Ა�პᲠᲘᲚᲘ.** რიტმული ტანვარჯიში — **9.00 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.20 (1);** ხელბურთი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. ვაჟთა ნახევარფინალური შეხვედრა. ასკ (მინსკი) — „მედვეშჩაკი“ (იუგოსლავია) — **21.25 (2).** საფეხბურთო მიმოხილვა — **22.40 (1).**

4 ᲐᲠᲘᲚᲘ. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **9.35 (1);** სპორტული სარბაობა — **14.10 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: „დინამო“ (რიგა) — ცსკა — **20.15 (2).**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. **Ა�პᲠᲘᲚᲘ.** საფეხბურთო მიმოხილვა — **22.40.**

4 ᲐᲠᲘᲚᲘ. სპორტული პროგრამა — **17.10.**

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ
(ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ, 74)

3 ᲐᲠᲘᲚᲘ

ᲠᲔᲒᲑᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲪᲘᲝᲜᲐᲢᲘ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ
„ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲘ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲭᲐᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ (ᲛᲝᲜᲘᲜᲒᲘ)

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 18 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲔᲠᲘᲐᲜᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲨᲘ, 1964 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲐᲓᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ
ᲜᲝᲓᲐᲠ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲑᲐᲠᲜᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐ ᲡᲐᲛᲫᲘᲛᲐᲠᲘ ᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲬᲐᲮᲡ.

ᲓᲐᲠᲩᲐ ᲡᲣᲞᲔᲠᲤᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘ

დასასრულს უახოვდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი.

ᲛᲘᲜᲡᲙᲘ. ნოვოსიბირსკის „დინამომ“ ადგილობრივ „ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘᲡ“ დამარცხების მიუხედავად — 59:74 (23:40) პირველი ეტაპის შემდეგ 56 ქულა დააგროვა და სუპერფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. მეორე სუპერფინალისტია ცსკა, რომელმაც ბოლო შეხვედრა ლენინგრადის „ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲘᲚᲘᲡᲐᲗᲐᲜ“ მოუგო და 52 ქულა დააგროვა. ბრინჯაოს მედლებს გაითამაშებენ „ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘ“ და „ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲘᲚᲐ“.

ᲞᲐᲜᲔᲕᲔᲟᲘᲡᲘ. აქ დაიწყო V-VIII ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების ტურნირი. აბოვიანის „ᲐᲓᲘᲡᲛᲐ“ ვილნიუსის „ᲙᲘᲑᲘᲠᲥᲨᲢᲘᲡᲘ“ დაამარცხა 76:66 (41:35), მოსკოვის ოლქის „Ს�პᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ“ კი კიევის „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ 99:86 (51:37).

ᲛᲮᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲨᲘᲠᲘᲜᲯᲘᲡ ᲜᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐᲖᲔ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ნაკრებ გუნდებთან აღმზრდელობითი მუშაობის პროგრამა თანდათან ფართოვდება. კარგი ინიციატივა გამოიჩინა თბილისის სპორტის სასახლემ — მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრის მრავალფანიან წარმოდგენაზე, რომელიც სასახლეში გაიმართა, უსასყიდლოდ გამოუყვეს ადგილები რესპუბლიკის ჭაბუკ და ახალგაზრდა ცხენოსანთა ნაკრები გუნდების წევრებს. მისაბაძი თაოსნობაა.

ᲘᲝᲒᲐ — ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲒᲣᲗᲜᲘᲡ ᲞᲝᲖᲐ. ანუ ვარჯიში სამ ფაზაში (ხალასანა).

(სურ. 10. ა. ბ. გ. დ. ე.).

გაშალეთ ქსოვილი იატაკზე და დაწექით. ხელები იატაკზე დააწყეთ და ერთად შეერთებული ფეხები მუხლებში მოუხრელად ასწიეთ. ყველა მოძრაობა ნელა შეასრულეთ. შემდეგ ფრთხილად დაუშვით ფეხები იატაკის შეხებამდე. ხელები იატაკს არ მოაცილოთ, სხეული ვერტიკალურ მდგომარეობაში გეჭიროთ, ფეხები კი — ერთად და გაჭიმულად. ისუნთქეთ მხოლოდ ცხვირით. ნიკაპით მკერდს დააწექით, ჩაისუნთქეთ და სუნთქვა შეიკავეთ. ტანის დაშვებისას ამოისუნთქეთ. ტანის დაშვების შემდეგ ფეხები ტანთან სწორ კუთხეს უნდა ქმნიდეს. შეისუნთქეთ და შემდეგ დაუშვით გაჭიმული ფეხები. ამავე დროს თანდათან ამოისუნთქეთ. ეს დამწყებებს გაუადვილებს პოზის შესრულებას. უფრო მომზადებულებს შეუძლიათ ვარჯიშის შესრულება შუალედური სუნთქვის გარეშე. დაშვების შემდეგ ფეხები და სხეული მოადუნეთ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ. ხელები დაიწყვეთ თავზე. სურ. „გ“. სურ. „დ“.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ. ხელები ზევითაა აწეული, ხელის თითებს ფეხის თითები უჭირავს.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ. სურ. „ე“. ამ პოზის გამოყენება შეიძლება მოსამზადებელ ვარჯიშად გუთნისა და სანთლის პოზებისათვის.

დაწექით ზურგზე, ფეხები გაჭიმეთ, ხელები იატაკზე დააწყეთ, ხელისგულები — იატაკზე. ასწიეთ ფეხები, სანამ ისინი ვერტიკალურ მდგომარეობას მიიღებს, შემდეგ ნელა დაუშვით და იგივე გაიმეორეთ — 6-8-ჯერ. ფეხების აწევის დროს ჩაისუნთქეთ ცხვირიდან,



სურათი 10. ა, ბ, გ, დ, ე.

შეიკავეთ სუნთქვა, ფეხების დაშვების დროს ამოისუნთქეთ.

ᲔᲤᲔᲥᲢᲘ. გუთნის პოზა ააქტიურებს ზურგის ნერვების კუნთებს, სიმპათიკურ კვანძებს, რომლებიც ხერხემლის ორივე მხარესაა. იგი განამტკიცებს სანთლის პოზის შედეგად მიღწეულ ეფექტს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას ნერვულ დაბოლოებებში, ნერვულ წნულებში, ზურგის კუნთებში. ეს პოზა ხელს უშლის ძვლების გამაგრებას — კალციფიერებას, მათი ელასტიკურობის დაკარგვას, ამ პოზის შესრულების დროს ზურგის კუნთები ერთად იკრიბება, პერიოდულად იჭიმება და დუნდება, რაც ხელს უწყობს სისხლის კარგ მიმოქცევას. გუთნის პოზის საშუალებით შეიძლება რევმატიზმის ზოგიერთი სახეობის, მრავალი ნერვული დაავადებების, იოგების დაჭიმვის განკურნვა, გუთნის პოზა საღ მდგომარეობას უნარჩუნებს ხერხემალს, აქტივებს მუცლის კუნთებს, შესანიშნავად მოქმედებს ღვიძლისა და ელენთის გადიდების დროს.

ᲑᲐᲣᲐᲣᲘᲡ ᲞᲝᲖᲐ. (სურ. 11).

ᲛᲔᲗᲝᲓᲘ. საწყისი პოზა: დაჯექით იატაკზე, ასწიეთ ფეხები, ხელი მოკიდეთ ფეხის თითებს.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

(გაგრძელება იქნება)

სურათი 11.

გაგრძელება. იხ. „ᲚᲔᲚᲝ“ 1987 წლის №№ 205, 210, 215, 220, 225, 229, 234, 239, 244, 248; 1988 წლის № 3, 7, 12, 17, 22, 27, 32, 37, 51, 60.

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ. 380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14. ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲡᲐᲒᲐᲖᲗᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ, ᲮᲝᲨᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ Ქ. 29. ᲧᲐ 05273